

მეფისმისი

1883-1886.

თბილისში
ბიზნისოთქის

—* «მეფისი» დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, უოკული თვისათს, ოცს ჯ ოც და-ათ რიცხვებში. *—

მოსწრებას რომ იტყვიან, სწორეთ მს არის.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ხალხის გონებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. მართალია, მრავალს ადგილას ჯერეთ სწავლის სინათლეს არ შეუხედავს და წერა-კითხვის მცოდნე პირები სანთლით საქმეარნი არიან, მაგრამ საზოგადოდ თუ ვიტყვით, წინანდელ დროსთან შედარებით, წერა-კითხვის მცოდნე პირნი ამ უკანასკნელ დროს საკმაოდ გამრავლდნენ. სოფლის სახალხო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებმა კარგა ბლომად გაამრავლეს წერა-კითხვის მცოდნე პირები ჩვენ ხალხში და შეეამჩნევად შენიშნულია წიგნების კითხვის სურვილი. მს იქილამ სჩანს, რომ საჭიროდ ხდება ვილაცა ახპატელოვის და შარამნიანის წიგნების მეორ-მეორედ და მესამედ გამოცემა. რამდენი უმგანო დ. ცუდი შინაარსის წიგნები საღდენა ეხლა ჩვენში, ეინ მოსთვლის. არა ერთ გზის გამოუცხადებია საჩივარი ადგილობრივ გაზეთებს ამისთანა ცუდი შინაარსის წიგნების გავრცელებაზე ჩვენს ხალხში...

ამისთანა დროს დიდი სიფრთხილე მართებდა სასულიერო წოდებას და საერო წოდების განათლებულ მამულის შეილება. ისინი დიდ ყურადღებას უნდა აქციოდნენ ამისთანა ხალხის მოთხოვნილებას და ნიადაგ უნდა ფიქრობდნენ ხალხის სასულიერო საზრდოზე. საერო წოდებაში კიდევ მოიძებნებინათ ორიოდ პირნი, რომელნიც ადგენენ ხალხის საკითხავ პატარ-პატარა წიგნებს, მაგრამ ჩვენ სასულიერო წოდებას ჯერეთ ამაზე სრულებით არ უფიქრია. შეიტყვეს შრანგების და პროტესტანტების სამღვდლოებამ ჩვენი ამისთანა ძილი და დაუდევრობა და

ცხრა მთას იქილამ მოვიდნენ, აწვდიან ჩვენ ხალხს სასულიერო საზრდოს, რომელიც მისთვის, ხალხისთვის საბოლოოდ არ დარჩება სასარგებლოდ.

ამისთანა დროს არსდება ჩვენში ღვთის-მშობლის სახელობაზე «ძმობა», რომელმანც გარდასწყვიტა, რომ თვეში ორჯერ გამოცეცს პატარა წიგნაკები სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსისა და მოუინოს ჩვენს ხალხში უფასოთ და ზოგი მცირე ფასით. ბევრი რამ დაწესებულება დაარსებულა ჩვენში, მაგრამ ამისთანა სასარგებლო დაწესებულება, ჩვენის აზრით, გარდა ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, არაოდეს. ამ «ძმობამ» მართულს ენაზე პატარა წიგნები უნდა შეადგინოს, დაბეჭდოს მართულად და დაარიკოს ჩვენს ხალხში! მი წრებას რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის!...

პირველი №-ი ამისთანა საკითხავი წიგნაკისა უკვე დაურიგდა ყველა ბლალოჩინებს და სამღვდლოებას. თითოეული ეკზემპლიარი ამ ახლად გამოცემული წიგნაკისა ღირს ორ კაპეკად. მხლა ჩვენს სამღვდლოებაზე დამოკიდებული გაკრცელება ამისთანა წიგნაკებისა ჩვენს ხალხში; მათზეა დამოკიდებული, რომ ამ პატარა წიგნაკის შინაარსი გააგებინონ იმისთანა პირებსაც, რომელთაც სრულებით წერა-კითხვა არ იციან. სრული იმედი აქვს სასულიერო მმართველობას სამღვდლოებისა, რომ იგი მზურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ «ძმობის» გამგეობის მოქმედებაში და მოუჩინს მას გულისთად თანაგრძნობას ამისთანა ჩვენ მართველთათვის სასარგებლო საქმეში.

ადრინაოპოლი

ამ უკანასკნელს დროს ბოლგარების ხალხი ერთობ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა. ზანსაკუთრებით ზოგჯერ სიძვირებში უფრო გაუჭირდა ხალხს საქმე ყველაგან და მომეტებულად ადრინაოპოლში. საქმდის ბოლგარიის ხალხის ცხოვრების სიძვირე უფრო რუმილიის მეოხება იყო, რადგანაც მომეტებული ნაწილი ყოველგვარი ხორაგეულობისა რუმილიიდან მოაქვს ბოლგარიაში. ამ ომიანობის წინეთ ბოლგარიელებმა მომეტებული ნაწილი რკინის გზებისა გააფუჭეს, ლიანდაგები აყარეს და მით ხალხის გრძნეთში მისვლა მოსვლა და სურსათის შემოტანაც შეჩერდა. რკინის გზების ლიანდაგების გაფუჭების გარდა მრავალ ალაგას დიდროანი ხიდებიც დააქციეს და ეს უფრო გააძვირებს რკინის გზის მალე განახლებას.

ადრინაოპოლში ამ ქამად თათრების ას ოცი ათასი ჯარის კაცი დგას, რომელთაც ბაშიბუზუყთა ტანთ-საცმელი აცვიათ. რადგანაც ზამთარმა მოასწრო მათ-აქ, ამიტომ ესენი აქვე დააბანაკეს და ამ ზამთრობით აქ დარჩებიან. ამ მიზეზებმა უფრო გააძვირა ყველაფერი. ამ ჯარის მეოხებით საცოდავს და საბრალო მდგომარეობაშია ჩავარდნილი აქაური გლეხები: ესენი დღე და ღამ თვის შეშის ზიდვას უნდებიან და სხვა სამსახურსა, და თავიანთ საქმეს ვეღარ აკეთებენ და ამის გამო ერთ გროშსაც ვერ მოულობენ. ამათი სილატაკე დღეს წარმოუდგენელს მდგომარეობაში, ამ ბოლოს დროს მმართველობამ კიდევ უფრო გაუძნელა მათ საქმე, რადგანაც ხარჯის ფულისმაგიერ ზოგს ხარი წაართვეს და ზოგს ცხენი. მისაც კი ერთი ხარი ან ცხენი ჰყვანდა, იმათაც კი წაართვეს ეს ცხოველები.

აქაური ჯარის უფროსად იმყოფება მეჰმედ-ფაშა, მართველი, ძახელი თავადის მახვანის შვილი, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ სარწმუნოება შეუცვლია და მათ დიდი ადგილი დაუკავებია. ეს გენერალი პატიოსანი კაცია, იცის მართული ენა და უყვარს თავის სამშობლო ქვეყანა და დედა ენა, მაგრამ უმადურია თავის ბედისა და ამბობს, რომ ჩემის სხვა-და-სხვა უზედო საქმეების გამო, მე ვეღარ მეღირსება ჩემი სამშობლო ქვეყნის ნახვალ...

ომიანობის გარემოებამ აქაურს სკოლებზედაც უფრო გაველენა იქონია და მის მეოხებით აქაური

საბოლოო სკოლებიც სულ დაკეტილია ამ ქამად უნდა შევნიშნათ, რომ სამხედრო ჯარში თვით სკოლის ისეთი მოწაფეებიც კი წაიყვანეს, რომელნიც 14 წელზე მეტი არ იქნებოდნენ. ამათ გარდა ერთს ზანსაბამ თვით 70 წლის მოხუცებულებიც კი წაიყვანეს.

დღეს აქაური ხალხი ისე აღელდებული და ატეხილია, რომ სრულიად დამხობასა და გაწყვეტს ისუბებს და თათრის ხელში ჩავარდნას კი მოელოდებოდა. ამ ბოლოს დროს თათრის ჯარის კაცებმა მრავალი რუმინელი გლეხები დაიჭირეს, დაატყვევეს და რაც რამ ჰქონდათ, სულ წაართვეს. მზახოთ, როგორ გათავდებოდა ამ უბედურების საქმე. ამ ბოლო დროს აქ კაცის კვლა და ცარცვაც გახშირდა. ამას წინეთ ერთ ღამეს აქაურმა პოლიციის ბოხელებმა სამი ქურდი მოჰკლეს, ოთხი დაიჭირეს და ხუთი გაექცათ. ამ ბოლოს დროს მთავრობამ დანიშნა მრავალი კაცები და ჯანდრები, რომელნიც დადიან და ხალხს სახლებს უშინჯავენ, რომ შინ არაფერი ჰქონდესთ. ამ შემთხვევების დროს ეს ბაშიბუზუყები ერთობ უსამართლოთ ექცევიან საბრალო ბოლგარიელებს და ეისაც კი უპოენიან სახლში იარაღს, ხმალს, ან დამბაჩას იმასაც კი ართმევენ და აღარ უბრუნებენ. ამისთანა არა საკეთილო მდგომარეობაშია ჩავარდნილი დღეს ბოლგარიის ხალხის საქმე და ენახოთ მომავალი რა იქმნება...

ქართველი.



ქ ა რ ს ი დ ა ნ .

ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ «მწყემსა»-ში.

მე ეს ცხოვრებდი ქ. შარსში ორი წელიწადი. შარსის სობოროს მახლობლად თათრების მეჩითის ეზოში ერთი საფლავია, რომელსაც თავსა და ბოლოს უდგია ქვის წინშები. ამ ქვის თავები ჩაღმა მოხვეულ თათრის თავსა ჰგვანან. საფლავზე დგას ფიცრებისაგან გაკეთებული გრძელი, ოთხკუთხიანი ყუთი; ზედ არის გადაფარებული ხავერდი, ხოლო ამ ხავერდზე «მეფე მადლი არის» გადაფარებული. ამ სასაფლაოს ყარაულობს ერთი თათარი. ამ სასაფლაოს

თაყვანის საცემლად დადიან: მართველები, სომხები და თეითონ თათებიც. მლოცველები თაყვანსა სცემენ ხოლმე სასაფლაოს, უნთებენ მას სანთლებს და შემდეგ თაყვანის ცემისა ფულებსაც აჩუქებენ ხოლმე იმ მათარს, რომელიც ამ სასაფლაოს უელის და ასუფთავებს.

ამ სასაფლაოს თაყვანის საცემლად დადიან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მართველები, სომხები და მათრებიც, მაგრამ კაცმა არ იცის, თუ ვინ არის დასაფლავებული იქ. მე გამოვიკითხე ეს და ზოგიერთი მათრებისაგან შევიტყვე შემდეგი: შირიმის ომის შემდეგ მარსში მათრებს შეუპყრიათ ერთი მართველი მღვდელი; მათ მოუწოდებიათ, რომ ამ მღვდელს მაჰმადის სარწმუნოება მიეღო, მაგრამ მღვდელი ვერ შეუტყდნიათ, რის გამო ამ მღვდელს ბევრი წვალემა მიუღია თათრებისაგან. ბოლოს ეს საწყალი მღვდელი ბევრი წვალეებისაგან მომკვდა. მათრებს მოუწოდებიათ მიცვალებულის დამარხვა თავის სჯულისა მებრ. როგორც მაჰმადის აღმსარებელი ამ გადაცვალებული მღვდლის გვამი მარჯვენა გვერდით ჩაუსვენებიათ კუბოში და პირი დასავლეთისკენ უქნიათ; მაგრამ გადაცვალებული მღვდლის გვამი ვერას გზით ვერ გაუჩრებიათ კუბოში: გვამი, როგორც მოგვითხრობს ზვიპირ-გადმოცემა, გულ-ალმა ბრუნდებოდა თურმე და ხელებს გულზე ჯვარის სახედ იწყობდა. ბოლოს თათრებს უფიქრიათ, რომ ეს მღვდელი ალბათ წმიდა კაცი ყოფილა და დაუსაფლავებიათ იმ სახით, რა მდგომარეობასაც გადაცვალებულის გვამი იღებდა. ამ მიცვალებულის უბრალო სასაფლაოზე დამარხვა ვერ გაებდათ თათრებს და დაესაფლავებიათ ის თავის მიწითის ეზოში. მათრები ამტკიცებენ, რომ ეს მღვდელი მართველთაგანი იყო, მაგრამ აქაური სომხები ამის წინააღმდეგი არიან და ამტკიცებენ, რომ ჩვენი ტრეტერა იყო. ამ შემთხვევაში თათრებს უფრო უნდა დაუჯეროთ, ვინემ სომხებს. ამ სასაფლაოს თაყვანის საცემლად რუსებიც ბევრი დაიარებიან. როგორც ამბობენ, ამ სასაფლაოზე ლოცვის შემდეგ ბევრი რჩებიან თავიანთ სენებისაგან.

ჩემის აზრით საჭიროა შეიტყოს კაცმა

ნამდვილათ, თუ ვინ არის დასაფლავებული ამ სასაფლაოში და ან ვის სცემენ თაყვანს ჩვენი მართველები.

ნიკოლოზ ოქრო-მჭედლოვი.

ს ი ტ მ მ ა, *)

თქმული თავ. ქაიხოსრო გელოვანისაგან 22-ს სექტემბერს 1885 წელსა სოფელს ცაგერს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ გამართულ საღმრთო სადამოზედ.

ბატონებო! რამოდენიმე მაგალითები, თვით ჩემის თვლით ნახული, საფუძველს მაძლევენ გულ-ახლილად აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტი, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი პატივცემულის საზოგადოებისა სრულებით არ არის გაცნობილი უმთავრეს მიზანს და საგანს იმ საზოგადოებისას, რომლის სასარგებლოდაც ჩვენ ეს საღამო გავმართეთ. ბევრი მეკითხებიან ხოლმე, თუ რა არის «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება?» რა მიზანი აქვს ამ საზოგადოებას? რა საგნის მისაღწევად შრომობენ მისი წევრნი და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ხალხისათვის მათს მოღვაწეობას და სხვა და სხვა... შევლა ეს კითხვები, ბატონებო, ახსნასა და განმარტებას თხოულობენ ჩემგან, რადგანაც ზემოხსენებული საზოგადოების მმართველობამ თავიანთი წარმომადგენლობა რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში მე მარჯუნა. მე მარჯვე დროდ მიმაჩნია ეხლანდელი შემთხვევა შესახებ იმისა, რომ რამდენათაც საჭიროა განემარტო ეს კითხვა. უმთავრესი საგანი, უმთავრესი მიზანი, რომლის მისაღწევაც მთელის თავის ძალღ-ღონით უნდა მოქმედებდეს ხსენებული საზოგადოება, თუ კი დაუკვირდებით,

*) ეს მშენიერი სიტყვა ჩვენ მივიღეთ ამ ბოლოს დროს მღვდლის მ. ნ. ფრუიძისაგან, თუმც დაგვიანებულია, მაგრამ დიდს სიამოვნებით ვაძლევთ ადგილს, რადგან ეს სიტყვა საყურადღებოა.



ეს თვით მისს სახელში არის გამოხატული: ამ საზოგადოებას ჰქვიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მაშასადამე უმთავრესი საგანი და თვით რსებობითი დანიშნულება ხსენებულის საზოგადოებისა ყოფილა ჩვენ ქართველებში წერა-კითხვის და პირველი დაწყებითი სწავლის მოყენა და გაგრძელება. ღიად, ეს საზოგადოება ამ თავის მალალი და ბევრ ნაირად სასარგებლო, მაგრამ არა მსუბუქი მოვალეობის შესასრულებლად, შემდეგ საშუალებებს ხმარობს: ხსნის თავიანთ საკუთარს ხარჯით სკოლებს იქ, სადაც ეს უკანასკნელი არ არსებობენ. მზავნის სპეციალურად მომზადებულს მასწავლებლებს, უგზავნის სკოლას ყოველგვარ მისთვის საჭირო ნივთიულებას და ამ ნაირად უხსნის ხალხს გზას სწავლის მიღებისას. იქ, სადაც არსებობენ სკოლები და ეჭირვებათ მატერიალურის მხრით დახმარება, ეხმარება, ხელს უწყობს, აწოდებს მისთვის საჭირო მასალებს. ბეჭდავს ქართულს სახელმძღვანელოებს და ურიგებს სკოლებს. ადგენს ქართულ ბიბლიოტეკებს, მართავს საკითხავ საღამოებს ქართულს ენაზე. ხსნის საკვირაო სკოლებს, შეიჭირვებს ახალ-გაზღვებს, რომლებთაც აქაურს სასწავლებლებში დაუსრულებიათ კურსი, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში დასვლის და სწავლა მეცნიერების დამთავრების ნებას არ აძლევს მათი ეკონომიური უღონოება; ამისთანა ახალ-გაზღვებს აძლევს დახმარებისა და შემწეობის ხელს «წერა-კითხვის საზოგადოება». მზავნის მათ თავიანთ ხარჯზედ უმაღლეს სასწავლებლებში, ამთავრებინებს მათ სწავლა-კანაოლებას და ამ ნაირად თითო-ოროლა გონება გახსნილს და ღირსეულად მომზადებულს პირებს სძენს ჩვენ ქართველების პრესას. მხლა, მაგონია, უნდა ვიცოდეთ ჩვენა, თუ რისთვის დაარსებულა შემოხსენებული საზოგადოება, რა დიდი ვალდებულება უკისრნია მას, და რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენის ხალხის გონებითი გაღვიძებისა და განვითარების შესახებ ამ საზოგადოების მოღვაწეობას, თუ კი ის მაგარ საფუძველზედ იქმნება დამყარებული. მაგრამ როდის შეუძლიან ამ საზოგადოებას თავის მიზნის მიღწევა, და ჩვენს ხალხში წიგნის ცოდნის გაგრძელება? მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი საზოგადოება თანაუგრძნობს მას, გაიცნობს მის მიზანსა და მისწრაფებას. თუ ჩვენი საზოგადოება როგორც გონებით, ისე ნივთიერის მხრით თანაგრძნობისა და დახმარების ხელს გაუწვდენს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთს მხოლოდ მტერე

გუნდა წერა-კითხვის საზოგადოებისადმი, თუ ვერცეულია, არ შეუძლია ღირსეულად აღასრულოს მისი ნაკისრი მოვალეობა. მოველო ექიმო, რომელსაც კი სინდისიერად ესმის თავისი მოვალეობა, ცდილობს ყოველის ღონით იმ ავთ-მყოფის მორჩენას, რომლისათვისაც მიუწვევიათ იგი. მაგრამ თუ კი ავთ-მყოფი ექიმისაგან დანიშნულს გზაზედ არ დასდგება, თუ კი მის რჩევას არ გაიგონებს და მისიან მიწოდებულს წამალს არ მიიღებს, ისე, რასაკვირველია, ყოველივე შეცადინება ექიმისა იქნება უნაყოფო და ჩაივლის ფუჭედ. სწორედ უკანასკნელ შემთხვევაში ასე იქნება «წერა-კითხვის საზოგადოების» საქმეც, შევლაზედ პირველად, ბატონებო, იმ ხალხს მიუღწევია უმაღლეს კაცობრიულ დანიშნულებამდის, ის ხალხი ყოფილს და არის გონებითი ძლიერი და ნივთიერის მხრით მდიდარი, იმ ხალხს ჰქონია დიდებული წარსული, აქვს სანატრელი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი მოვლას, რომელ ხალხსაც თავისი დედა-ენა, თავისი ეროვნული წერა-კითხვა, თავისი ლიტერატურა და ისტორია ჯეროვანად ჰქონია შესწავლილი და გაცნობილი. და ამ მომზადებულს მიუყვია ხელი დანარჩენი ერის სწავლა მეცნიერების შეძინებისათვის. პირ-იქით რომელ ხალხსაც თავისი დედა-ენა დაუკარგავს, თავისი ეროვნული წერა-კითხვა არ იცის, თავისი ლიტერატურა, თავისი ისტორია არ ესმის, ის ხალხი როგორც გონებით, ისე ნივთიერის მხრით ღარიბია, ყოველ შემთხვევაში ყველასაგან ძლეულია. სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ვაღვიაროთ, რომ პირმოთენება არას გვარგებს, რომ ყველა სხვა ხალხზედ უფრო ეს ნაკლი ჩვენ ქართველებს გვაჩნია: ჩვენში ასში ერთს თუ შეხედებით, რომ თავისი დედა-ენა საფუძველიანად იცოდეს. ათასში ერთს თუ შეხედებით, რომ თავისი ეროვნული წერა-კითხვა იცოდეს, წაკითხულის გაგება და თავის აზრის ქალაღზეც გადატანა შეეძლოს. ათათასში ერთს თუ იპოვიოთ, რომ თავის ლიტერატურის, თავის ერის ისტორიის ესმოდეს და გაეგებოდეს. რამ... აი ამ ნაირს მდგომარეობაშიდ მყოფს გვიჩნდება ჩვენ «წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება», რომელიც ცდილობს გვასწავლოს ჩვენ ჩვენი დედა-ენა, ჩვენი წერა-კითხვა, გაგვაცნოს ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ისტორია, და იმ ნაირად მოგვამზადოს უფრო უკეთესად; როგორც სახელმწიფო რუსული ენის შესასწავლად მეცნიერების მისაღებად, აგრეთვე დანარჩენი ჩვენზედ მეცნიერებით წინწასული ხალხის სწავლა მეცნიერების მისაღება-

დაც. რატომ არ უნდა გვედილობდეთ, რაში არ დავიკარგდეთ, არ დავიფიწყოთ ის ენა, ის წერა-კითხვა, რომლითაც ბაბულებმა და მწერლობმა ჩვენ მართველეთს საუკეთესო წარმომადგენელი, ჩვენი ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე გვირგვინი და დაუკარგბელი ლამპარი მეთორმეტე საუკუნის პოეტები შ. რუსთაველი, მისი კლასიკები: შავთელი, ჩხარუბაძე, ხანელი, სარგისთამოცველი და სხვანი?... რატომ არ უნდა გვესმოდეს ის ენა, რომლითაც დაგვგალობენ ყოველ დღე თავზედ ჩვენი თანამედროვე საუკეთესო პოეტები მაგალითად: მართამიელი, შრისთავი, მრბელიანი, შავჭავჭავაძე, პ. წერეთელი და სხვანი?... დიდი დანაშაულობაა ეს ჩვენი მხრით სამშობლოების წინაშე. უნდა გვესმოდეს ეს, და თუ, საუბედუროდ, დაგვიფიწყია, უნდა გვეცადოთ გავიხსენოთ და შევიხსენოთ. რათა უნდა დაეკარგათ, რათა უნდა დაიფიწყოთ-ის ენა, რომლის მალაქმა კილომ, სიმღერებმ, და გემოვნებამ აღტაცებამიერდ მთიყვანა მთელის ევროპის და განსაკუთრებით საფრანგეთის წარჩინებულნი ფილოლოგნი. დრო არის განვიხილოთ გონების თვალი, დრო არის თავი დავანებოთ ჩვენებურს უზრუნველ არჩვენ ცხოვრებას და დაეხმაროთ ყოველის ღონით იმ საზოგადოებას, რომელიც იღწვის-ჩვენი ხალხის გონების გახსნისა და გაღვიძებისათვის. მხოლოე საჭიროა ვიცოდეთ ისიც, თუ რაში მდგომარეობს ზემოხსენებულის საზოგადოების თანაგრძობა და დახმარების აღმოჩენა: ნივთიერის მხრით უმთავრეს დახმარებად ჩაითვლება ის, თუ უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა გახდება წვერად «წერა-კითხვის საზოგადოებისა». უნდა, რამდენიც მომეტებული რიცხვი იქმნება ამ საზოგადოებისა, იმდენათ უფრო ექმნება ღონისძიება თავის მოვალეობის ღირსეულად შესრულები-სა. საჭიროა ვიცოდეთ ისიც, თუ რის მოვალე ხდება თითოეული წევრი ამ საზოგადოების კასსაში ფულად შეტანისა. დამუშენებელ წევრს შეაქვს ყოველ წელიწადს საზოგადოების ხაზინაში ოცი მან. და ნამდვილს წევრს ექვსი მანეთი. აი რა მცირე მსხვერპლით იკიდებს ფესვს და ხორციელდება ჩვენში ისეთი დიდი და მალალი საქმე, როგორიც არის ხალხში წერა-კითხვის და პირველ დაწყებითი სწავლის მოფენა და გავრცელება. ჩვენი საზოგადოება უხვად ხარჯავს არა თუ ექვს მანეთს, ათჯელ და ოცჯელ ექვსაც იმისთანა საგნებზედ, რომლებსაც არა თუ საშვილი-შვილო, პირადი სარგებლობაც არ მოაქვსთ რა. მა არა სჯობიან; ბატონებო, რომ უბრალოდ ფულების ფლანგვას თავი დაჟანგბოთ და

ამ საშვილი-შვილო კეთილ და სარგებლობის მომტან საქმეს და საზოგადოებას კი დაეხმაროთ ერთ-თაც კი შეგვიძლიან? სრული იმედი გვაქვს, რომ ლტახუმის საზოგადოება არ ჩამორჩება უკან ამ შემთხვევაშიდ დანარჩენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებათა და ისიც თავის მხრით გაუწევს სრულს თანაგრძობობას და დაეხმარება იმ საზოგადოებას, რომლის სახელითაც დღეს ჩვენ ამ შევეკრებილივართ.

გილიოგრაფიული შენიშვნა.

I.

რუს-მსმალოს ომიანობის წინეთ, მსმალოთს ქალაქ ტრაპიზონში იმყოფებოდა შრანცუხების ვიცე-კონსული ბ. მარენგო. მარენგო მაცკასიის ხალხთი ისტორიის მოყვარე იყო და განსაკუთრებით, საქართველოსი—და მართველთა. იგი ბეჯითად სწავლობდა საქართველოს ერის ძველი და ახალი დროის ისტორიულ ცნობებსა; მის უპირველეს საყურადღებო საგნად ქართველობის უკანასკნელი დრო გახდა და მათივე ეკკლესიის ისტორია. მართველეთის უკანასკნელს დროის ცხოვრებაში მარენგომ განსაკუთრებითი ყურადღება საქართველოს ეკკლესიას მიაქცია და იგი მის გაცნობას და აღწერას შეუდგა.

მისგან დაწყებულს საქმეს შესრულებაც მიეცა და მან დასწერა საქართველოს საეკკლესიო ისტორია, რომელიც უკანასკნელს წლებში რომში გაგზავნა და მხატვრობიანს გაზეთ «გას მისიონ დეკოლეგი»-შიც დაბეჭდა. ისტორიაში ჩართულია მრავალი მართული ტიპები, ძველი ეკკლესიების საყურადღებო ხელოვნებანი, დახატულია მთლათ ბელათის ეკკლესია და მასთანვე ჩვენი სამოღვლელო მამრიელ ეპისკოპოსი. მამრიელ ეპისკოპოსის სურათს გარდა ყველა სურათები კარგათ არიან დახატულნი და ყველაფერში დაცულია ღელანთა შესვლულლებანი; შოლოდ მამრიელ ეპისკოპოსის სურათში კი არ გამოხანს ის სახის მსგავსება, რაც ჩვენ გვინახავს. მცირეოდნათ შეცვლილია სურათში სახე ისტორია, სხვათა შორის, შეეხება იმასაც, თუ საქართველოში როდის დაიწყო კათოლიკეთა ეკკლე-



სიის გავრცელება. ეს უკანასკნელი ცნობები ძალიან-
 ვის ძველსაში მოგზაურ ლათინთა პატრონის
 ცნობებიდგან და მოხსენებებიდგან გამოუყრებია
 და მათის ცნობებისავე პროგრამაზე დაუშვილ-
 რეთა თვისი ისტორიის დედა-ჭაზრიც. მარნევი და-
 ლაგებით და დაწერილებით აღწერს ჩვენი ეკკლე-
 სიის მდგომარეობასა და ბოლოს უმატებს, რომ
 «მეცხრამეტე საუკუნის შემდეგადამ ეს ეგგლეკია რუსის
 სინოდს დაუქორწიდა და მისის მკობებით რუსის უმაღ-
 ლესი სასულიეროებან იმას შეცადინობს, რომ ამ ყოფ-
 ლად მათიასან და მზავალ ნაიზად წვალებულ ხალხში
 სდაუაბნური ენა გაავრცელდა...»

საქართველოს ძველი დროის ცნობებში დიდი
 აღვლილი უკავია პიტერო დელაველის მოხსენებას,
 რომელიც თანამედროვე იყო მეთევან დედოფლისა
 ამჟამს გარდა ამ ისტორიაში ბევრი იმისთანა ცნო-
 ბები არიან მოხსენებულნი და ჩამოთვლილნი, რომე-
 ლნიც უმნიშვნელოდ არ დაიხიბიან ჩვენი-
 თვის.

ამიტომ კარგი იქნება, რომ სამზღვარ გარეთ
 მყოფი მათი მოწილებმა ამ ისტორიას ყურად-
 ლებია მიამართონ ვაზეთი 1881 წლის «მეს მისიონ
 შვეკოლეგი» მოსძებნონ და ეს ისტორია მართულათ
 გადმოხსთარგმნონ, რომლითაც დიდ მადლობას
 დაიმსახურებენ.

თბილელი.

ახალი ამბავი და უმნიშვნავი.

შეწირულებანი «ღეთის-მშობლის სახელობაზე
 დაარსებული ძმობის რჩევის» სასარგებლოდ იგზავ-
 ნებიან ყოველი მხრიდამ. ღლიდგან «ძმობის» დაარ-
 სებისა ამ «ძმობის» სასარგებლოდ შემოვიდა 1464
 მანეთი და ერთი სერია 50 მანეთის. ეს ფულები
 შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

მალალ ყოვლად უსამღვდელოესმა პავლემ, სა-	
ქართველოს ექსარხოსმა	— 200 მან.
იპერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელიმა	— 200 —
მთავარ-მმართველმა ა. მ. დონდუკოვ-გორსაკოვმა	100 —
მათმა მეუღლამ ნ. ხნდრევიის ასულმა	— 100 —

სარატოვის ეპისკოპოსმა გეორგიმ	— 100 —
ჩერნილდავისკის ეპისკოპოსმა ვენიამინმა	— 25 —
კამენეც პოდოლსკის ეპისკოპოსმა იუსტინემ	— 25 —
ნოვგოროდ-სვედრსკის ეპისკოპოსმა ათანასემ	— 50 —
სტარო-რუსკის ეპისკოპოსმა ანასტასიმ	— 50 —
სემინარიის რექტორმა დეკ. პ. ი. ზუდეცკიმ	— 50 —
დეკანიზმა სტ. ი. გუმილევსკიმ	— 50 —
არქიმანდრიტებმა:	
შაკარიმ	— 50 —
გრიგორიმ	— 50 —
ქესარიმ	— 50 —
დეკანიზმა კალისტოვმა	— 50 —
ბულგარევიჩმა	— 50 —
თავადმა რ. ი. ანდრონიკოვმა	— 10 —
მღვდელმა ქრისტეფორე დოლიძემ	— 6 —
ნამაბოვმა	— 6 —
იგუმენმა კალისტრატემ	— 6 —
ბოლოლიუბოვმა ტვერიდამ	— 3 —
კაპიტანმა ს. ვ. პაშკევიჩმა	— 6 —
მღვდლებმა: ხუსკივაძემ	— 6 —
ინაუემა	— 6 —
არხანგელსკიმ	— 3 —
სტასიმ	— 6 —
ზვერუემა	— 6 —
ლინარეემა	— 3 —
პეტრიეემა	— 6 —
ჯანაეემა	— 6 —
ვ. ზედგენიძემ	— 9 —
ლიუბო-მუდროვმა	— 3 —
ოუდესტვენსკიმ	— 2 —
ლომაურმა	— 6 —
მანაროვმა	— 6 —
დეკანიზმა ვიქტორ გრეჩენკოვმა	— 50 —
პოლკოვნიკ ი. ა. ნიკიფოროვმა	— 10 —
დეკანიზებმა: ელიემა	— 6 —
მანსვეტოვმა	— 6 —
კონჩუემა	— 6 —
გენერალ ლეიტ. გ. ნ. მამაცოვმა	— 6 —
დმ. ა. კოიაკოვსკიმ	— 6 —
ვ. ი. ვიდლინოვმა	— 6 —
დიგორის ბლალოჩინმა სიკოემა	— 6 —
მღვდელმა თ. დუტკინმა	— 5 —
დეკანიზებმა: სიმონოვმა	— 6 —
სოკოლოვმა	— 6 —
სემინარიის ინსპექტორმა სტეფანოვმა	— 6 —
თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავ- ლეებლთა: კოლმაკოვმა	— 6 —
ვლად. ოსუცკიმ	— 6 —

სემინარიის მასწავლებელმა გორტინსკიმ	—	6	—
დ. ს. ს. მ. თ. ცაგარელმა	—	6	—
დეკანოზმა ნ. არდაზიანმა	—	6	—
დ. ს. ჩივაძემ	—	6	—
სემინ. ინსპექტორი თანაშემწემ ვ. ზ. ბარნოვმა	6	—	—
ქუთ. სასულ. სასწ. ზედამხედველმა ნ. ტატივემა	6	—	—
სას. პოლისტარის ილუმინა ნიკიფორემ	—	6	—

დასრულიად 1464 მან.

«მწყემსის» არდაქციამ დაბეჭდა მოწოდება მაღალ ყოვლად სამღვდელთა არქივისკოპოსის პავლესი და «ძმობის» წესდება ათას ხუთასი ეკლემლიარი თავის ხარჯით, 35 მ. ეს მოწოდება და წესდება დარიგდა მთელს საქსარხოსოში და სხვა ადგილებშიაც.

* *

მთხს იანვარს ერთად მივიღეთ სამი ნომერი გაზეთ «ივერიისა». ამ გაზეთის პირველი ნომრის ენა, ეგონებთ, ძნელი გასაგები იქნებოდა მკითხველების უმეტესი ნაწილისათვის. ნაკვეთები ცოტა უნდა უნდა იყოს. «სურმანიძე კი არ შემირთავს, რომ კოჭლი ფეხი გამსწორებოდესო». არაფერი მოსწობულობი სიტყვა არ არის. არაფის გაუგონია, რომ სურმანიძეს კოჭლი ფეხი კაცისათვის გამართლებინოს!... შემდეგი № №-ში კი სწორედ სიამოვნებით წაიკითხება ყველასაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი დღიური გაზეთი «ივერია» იმისთანა გამოცდილ, წინდახედულ და ნიჭიერ რედაქტორის ხელში, როგორც არის ჩვენი ბ. ი. ზ. დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნებებს და მალე მოანდობებს ყველას «ღროების» გარდაცვალების მწუხარებას....

* *

ღიდი ხანია, რაც კომისია არის შემდგარი შემამუშავებლად ეკლესიების შესავალ-გასავლის და საზოგადოდ ეკონომიური ანგარიშების უმჯობესად წაყვანისათვის. ეს კომისია, როგორც იწერებინებლა, ათავებს თავის მოქმედებას. ამბობენ ამ კომისიის გარდაწყვეტილებით ყოველ სამრევლოში იქნებიან დადგენილნი რამდენიმე კეთილ საიმედო პირთაგან შემდგენილნი გამგეობანი, რომელთა წინამძღო-

ლობით უნდა მიდიოდეს ეკლესიების შესავალ-გასავლის ყველა საქმე. ძლიერ სასარგებლოა ამის თანა გამგეობთა დაარსება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გამგეობის დაარსების შემდეგ უფრო უკეთესად წავა ეკლესიების შესავალ-გასავლის საქმე, ვინემ დღეს მიდის.

უგანასენელი დღეების ზოგიერთი საყურადღებო

სქალპერაშეპი.

დეკემბრის 29

ფილიპოკოლი. ნახევარი რიცხვი ჭარისა შინ დაითხოვს.

ქრისტანტინეპოლი. გადატ-გუენდის თავის მოსხუება წარუდგინა ხონთქისათვის და შიგ ჩაურთავს ბოლგარის მსაჯრის წერილი. მთავარი აღიარებს თავის ქვეშევრდამებურსა გრძნობასა და ახას გზით კი ანა სთმობს რუმელიისა და ბოლგარის გაერთების საქმეს; ჭბირდება, თუ ეგ გაერთება დამტკიცდა. იხლას ხონთქანს თავყან-საქმელად. ეს ამბავი ხონთქანს სწუენია. მარტამ თაფ-იარადის აურა შეაუენა იმ დრომდე, ვიდრე თაფ-იარადს აიურის საბერძნეთი, სერბია და ბოლგარია.

დეკემბრის 31.

პეტერბურგი. საუკველთაოდ გამოცხადდა ახალი წესი პეტერბურგის ზარაფ. ხანის მართვისა და მოქმედებისა.

გამოცხადებულ იქმნა ახალი წესი ფულის მოჭრისათვის სხვათა შორის გადაწყდა: რქრას ფული თუმბანი და ხუთ-მანათიანის ღირებულებისა მოიჭრას; 900 წილი ხადასი რქრე ერევა და 100 წილი სმილენში. ათასში; ვერცხლის ფული მოიჭრება მანათიანი, ათ. შაურანი და ხუთ-შაურანი, 900 წილი წმინდა ვერცხლი ერევა და 100 სმილენში, დასასურდავებელი წერილი ვერცხლის ფული მოიჭრება ახაზიანი, სამშაურანი, ორშაურანი და შაურანი, ერევა 500 წილი წმინდა ვერცხლი და 500 სმილენში ათასში.

იანვრის 1.

პეტერბურგი. გუმის სელაშიფე იმპერატორმა და სელაშიფე იმპერატრიცამ კეთილ-ინებეს და თავიანთ უფ-კუსტაკისს შვილებით გადმოხრძანდენ საცხარეებლად კატინილად პეტერბურგს.

ბლალაჩინის მღვდლის თხოვნე ასათიანისაგან ჩვენ მივიღეთ თფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დახმარე «მშობის» სასარგებლოდ რვა მანეთი, რომელიც გაიგზავნა დანიშნულებისა მიერ.

ეს ფულები შემოწირულია შემდეგ პირებისაგან.

ბლალ. მღვდლ. თხოვნე ასათიანისაგან	1 მან.
მღვდლის გიორგი ასათიანისაგან	— 1 მან.
— გრიგოლ ასათიანისაგან	— 1 მან.
— მათე ზვადახიანისაგან	— 1 მან.
— ვასილ ახვლედიანისაგან	— 1 მან.
— მაქსიმე გოლეოიანისაგან	— 1 მან.
— ანდრია სუანიძისაგან	— 1 მან.
— იოანე კვაციანიძისაგან	— 1 მან.
და სრულიად	— 8 მან.

ჩვენ მივიღეთ თფილისის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დახმარე «მშობის» სასარგებლოდ თვრამეტი მანეთი ბლალაჩინის დეკანოზის ალექსი ჭიჭინაძისაგან. ეს ფულები არის შემოწირული შემდეგ პირებისაგან.

ბლალ. დევ. ალექსი ჭიჭინაძისაგან	— 1 მან.
მღვდლის ესტატე ტახიკაძისაგან	— 1 მან.
— გრიგოლ ჩიკვაძისაგან	— 1 მან.
— ალექსი ბაქრაძისაგან	— 1 მან.
სამთიარის მრევლის მღვდლისაგან	— 1 მან.
სოფლის ზვადის სამების მღ. დავითისაგან	1 მან.
მღვდლის ანტონ გონაძისაგან	— 1 მან.
— სპირიდონ ლანდიასაგან	— 1 მან.
— თადეოზ მინდელიასაგან	— 1 მან.
— სიმონ გოცირიძისაგან	— 1 მან.
— ზაქარია სხირტლაძისაგან	— 1 მან.
— პეტრე ჯაფარიძისაგან	— 1 მან.
— სიმონ რობიჯვაძისაგან	— 1 მან.
— ოქროპირ მესხისაგან	— 1 მან.
— ზაქარია გიორგობიანისაგან	— 1 მან.
— დავით სულაძისაგან	— 1 მან.
— გიორგი ჯაფარიძისაგან	— 1 მან.
— სიმონ ალავეძისაგან	— 1 მან.
და სრულიად	— 18 მან.

ნ ა რ ე ვ ი

სლოკინის მოსპობისათვის რა საშუალებას ხმარობენ?

ერთ რუსის ოფანში ერთ ქალს აუარდა სლოკინი და იქამდის შეაწუნა ის, რომ ექიმს მოუწოდეს. ექიმმაც ბევრი საშუალება იხმარა, მაგრამ სლოკინი მაინც ვერ მოუსპო ერთმა

გლენმა კაცმა იკითხა ექიმის მოსვლის მიზეზი და როდესაც უთხრეს მას ექიმის მოსვლის მიზეზი, ლიპილით მოახსენა თავის ბატონს: «ბატონო, რა საჭიროა ექიმის წამლობა სლოკინის გადასადგდებლად?—ვისაც ასლოკინებს, იმან საჭმელს უნდა შეატანოს ნიორის პატარა ნაჭერი და სლოკინი მაშინვე გადუარდება. იხმარეს ეს საშუალება და ქალი მაშინვე განთავსდებოდა».

გერმანიაში სლოკინის მოსაჭრელად ხმარობენ სულ სხვა საშუალებას: ვისაც სლოკინი აუარდება, იმას დასოვლებული ტილოთი მარფვენა უურს დაუშელებ და სლოკინი მაშინვე მოესპობა.

ჩვენში კიდევ უკეთეს საშუალებას ხმარობენ. ვისაც სლოკინი აუარდება, იმას რაიმე გასაოცარ ამბავს ეტყვიან ისე, რომ იმან არ შენიშნოს, რომ მას ატყუებენ. უეტარი დაფიქრება ამ საგანზე მას სლოკინს უცევ გადუგდება.

უბედურება მოდისაგან.

ფრანკფურტის ერთ ძველ სასაფლაოზე დასკირობდა მარტოდ ერთი ახალ-გაზდა ქალი. ზევიდამ უცებ ჩამოფრინდა ქორი და მან რამდენიმე ფერ ჩაჭკრა ნისკარტი ქალის შლიაპაში. ქალმა, რაც შეეძლ ო დაიყვირა, მუშამ, რომლიც ამ ქალის ცოტა მოშორებით იყო, იფიქრა, რომ უთუოდ ვინმემ კაცის სიკვდილი განიზრანაო და მოვარდა საშველებლად. ბოლოს გამოჩნდა, რომ მოსეირნე ქალის სიკვდილი კი არავის განუზრანავს, არამედ ქორმა განიზრანა იმ გამხმარი ფრინველის სიკვდილი, რომელიც მოსეირნე ქალის შლიაპას ამშვენებდა.

რ ე დ ა მ ტ ი ი ს ვ ა ს უ ხ ი.

გორში. მღვ. ი. გ—ს. ოქტენი მოკლე მოძღვრებები დაიბეჭდებიან ამა წლის აპრილის თიეში.

სოფ. ამ—ს (ქუთ. მან.) პილატეს რაპორტი არ დაიბეჭდება. რალაცა საეკეო მასალაა.

სოფ. გო—ს. მ. ს. ა—მეს. მძარა, რაც დაიწერა აღძრულ კითხვებზე.

სოფ. სე—ს. მდ. ს. ჯ—ს. ოქტენი მოძღვრება ქურნალში დასაბეჭდი არ არის.

ბლად. მდ. ი. ხარ—ს. ოქტენი სიტყვა დაიბეჭდება შემდეგ № №-ში.





საქართველო-იმერეთის სინოდის მიერ გამოცემული
 კრებული ნაშრომებისა და სხვადასხვა ნაშრომებისა
 ჩინთადმი 9 ნაწილი 1886 წლისა № 239

პატივით და მრთავე მთავრობათა: სახორციელო და სასულიეროსა მეცადინეობით, ახლა მრავლებიან ჩვენს სამწყსოსა შინა მკოდნენი პირნი წერა კითხვისა. მათ, რასაკვირველია, სურვილი აქვსთ, რომ გამოიყენონ ეს ცოდნა, იკითხონ რომელიმე წიგნები. ამისთვის ახლავს საჭიროა, რომ ჩვენ სულიერთა მოძღვართა ვეცადეთ და მივსცეთ მათ ხელში კარგი რაიმე სულიერად სასარგებლო და ზნეობის აღმამაღლებელი საკითხავი წიგნები, თორემ დაიწყებენ სულიერი ზღაპრების, ან სულის მავნებელი, ზნეობის გამაფუჭებელი წიგნების კითხვას. ამა მიზეზი, რომლისა გამო ახლად შედგინილმა ქ. თბილისში სასულიერო მთავრობის მეცადინეობით, «ძმობამ» უოვლად წმიდა დვთის მშობლის სახელზედ, განიზრახა გამოცემა პატარა პატარა ბროშიურებისა (წიგნაკები) ფრიად იხთად, ორ-ორ კაპიკათ თითო თითო. ამისთანა ბროშიურა გაეგზავნება ბლადორჩინებს, რათა მათ თითო ეგზემპლიარი ეკლესიის ფულით გამოიწერონ თავიანთი საბლადორჩინო ეკლესიებისათვის და იქონიონ ეკლესიაში, მისცემდენ, ვინც ისურვებს წასაკითხავად, გარდა ამისა შეგონონ, ვინც კი თავის სულის და ზნეობის წარმატების მსურველია, იყიდონ ამისთანა ფურცლები და იქონიონ სახლში საკითხავად. წიგნაკები იქნება გამოგზავნილი ბლადორჩინის და მბაშაშაძისაგან. ფული, რასაც შეადგენს, უნდა იქმნეს გავზავნილი ხეთითვის გამოსაცემი წიგნაკებისა (თვეში ორჯერ გამოვა) წინ-და-წინ, ან ხეთითვის შეადგენს უნდა გავზავნონ «ძმობის» რჩევის თავს მჯდომარეს თფილისის სემინარიის რექტორ მ. ვ. ჩუდევკისთან. თუ ვინმე მოინდომებს მომეტებულს წიგნაკების გამოწერას, მოითხოვონ იმავე მ. და მბაშაშაძისაგან.

მარი ამ მოწერილობისა დაიბეჭდოს ქურონაღის «მწყემს»-ში სახელმძღვანელოდ და საკონსულტაციოდ სამღვდელთათვის.

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თავისი უკაზით 25 ნოემბრიდამ 1885 წ. განსარჩინებლად შეუთხოვია და გასათვრთნილებლად სამღვდელთათვის, აცხადებს, რომ ეკლესიის

სიის ერთი კრებულთაგანი და მტრათულის სულია იმისათვის, რომ მან, შესრულდა რა უმაწვილზე საიდუმლო ნათლის დება, არ ჩასწერა ის მეტრიკაში და აღსარებითი სიებში არ ნიშნავდა პირს, რომელმაც სთქვა აღსარება და ეზიარა მათ ეკლესიაში იმა უსაუბლო მიზეზისაგან, რომ ეს პირნი არ იყვნენ მათი სამრევლოთაგანი.

ნამდვილთა სწორია: მდივანი სინოდ. კანტორისა ი. სიმონოვი.

ВЪ 1886 ГОДУ

ПРИ КИЕВСКОЙ ДУХОВНОЙ АКАДЕМИИ
 БУДУТЪ ИЗДАВАТЬСЯ
 ПО ПРЕЖДЕ УТВЕРЖДЕННОЙ ПРОГРАММѢ:
 „ТРУДЫ КИЕВСКОЙ ДУХ. АКАДЕМИИ“,
 ЖУРНАЛЪ
 научнаго содержанія и характера.

При журналѣ будутъ помѣщаться переводы твореній
 БЛАЖЕННАГО ІЕРОНИМА И БЛАЖ. АВГУСТИНА,

которые въ отдѣльныхъ оттискахъ будутъ служить продолженіемъ изданія, подъ общимъ названіемъ:

„Библіотека твореній св. отцевъ и учителей церкви западныхъ“.

Указомъ Св. Синода отъ 3/19 февраля 1884 г. подписка какъ на журналъ „Труды Кіевской дух. Академіи“, такъ и на „Библіотеку твореній св. отцевъ и учителей ц. западныхъ“ рекомендована для духовныхъ семинарій, штатныхъ мужскихъ монастырей, кафедральныхъ соборовъ и болѣе достаточныхъ приходскихъ церквей.

Цѣна за годовое изданіе журнала СЕМЬ рублей.

„Библіотеки“ вышущено шестнадцать книгъ; книги 1 и 2—творенія св. Кипріана, еписк. карфагенскаго, ч. 1 и 2; кн. 3, 4, 5 и 6—твореній бл. Іеронима ч. 1, 2, 3, 4; кн. 7—твореній бл. Августина ч. 1; кн. 8—твореній бл. Іеронима ч. 5; кн. 9—твореній бл. Августина ч. 2; кн. 10—твореній бл. Августина ч. 3; кн. 11—твореній бл. Іеронима ч. 6; кн. 12—твореній бл. Августина 4; ч. кн. 13—твореній бл. Іеронима ч. 7; кн. 14—твореній бл. Августина ч. 5; кн. 15—16—твореній бл. Іеронима ч. 8 9. Цѣна каждой книги (или тома) Библіотеки 2 р. съ пересылкою, кромѣ 16-й книги, цѣна коей 1 р. 50 к. съ пересылкою.

